დეკემბერი, 2015

NEWSLETTER

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში (2010-2015) შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია

11 დეკემბერს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) და ფონდმა ღია საზოგადოება საქართველომ (OSGF) გამართა ანგარიშის პრეზენტაცია, რომელშიც შეჯამებულია ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობა საქართველოში 2010-2015 წლებში.

ინსტიტუტის მიერ გამოვლენილი იქნა 2010-2015 წლებში ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები, რომლებსაც გადაეცათ სპეციალური ჯილდოები, ეს დაწესებულებებია:

- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
- დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა

2015 წლის მონაცემებით ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებად დასახელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელმაც 44 მოთხოვნა დატოვა უპასუხოდ.

რაც შეეხება უშუალოდ 2015 წელს, სპეციალურ ჯილდოებით (სიგელებით) „2015 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის“ დაჯილდოვდნენ შემდეგი ცენტრალური საჯარო დაწესებულებები:

- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
- აჭარის ა/რ მთავრობის აპარატი და ყველა სამინისტრო

2015 წელს მნიშვნელოვნად გააუარესეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები იუსტიციის სამინისტრომ - 45,9% რეგრესი; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ (50,2%)და მთავრობის ადმინისტრაციამ (74,8%)

ინტერნეტის თავისუფლება საქართველოში (აგვისტო 2014 - ნოემბერი 2015)

IDFI-ს მიერ საქართველოში ინტერნეტის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ მომზადებული რიგით მეხუთე ანგარიში მიმოიხილავს ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლების, ინტერნეტ ინფრასტრუქტურის კუთხით მთავრობის პოლიტიკისა და ინტერნეტ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ანალიზის შედეგად გამოკვეთილ ტენდენციებს.

რა გავლენას მოახდენს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2015 წლის 28 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს კანონის - "თავისუფლების ქარტია" მომავალზე

ანალიზში განხილულია, თუ რამდენად გამართლებულია დღეს ისეთი შემზღუდავი ნორმების არსებობა, როგორიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2015 წლის 28 ოქტომბერს მიღებულგადაწყვეტილებაშიაგათვალისწინებული.

საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა

პროექტის, საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა _ www.opendata.ge ს მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს ინფორმაციის თავისუფლების განვითარებას, სახელისუფლებო პირების ანგარიშვალდებულების ზრდის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობისა და სახელმწიფოზე საჯარო მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმების განვითარების გზით.

პროექტის ფარგლებში IDFI-მ გამოაქვეყნა მონაცემთა ანალიზი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურების, თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიები და სახელფასო დანამატების შესახებ 2015 წელს და პარლამენტის, პრეზიდენტის და მთავრობის ადმინისტრაციების ხარჯები - 2015 (იანვარი-აგვისტო)

სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020

პროექტი "სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება" მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების მაქსიმალურად ფართო სპექტრის დაინტერესების გამოწვევასა და მათი ცოდნის გაღრმავებას საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია "საქართველო 2020"-თან დაკავშირებით.

პროექტის ფარგლებში IDFI-მ დეკემბრის დასაწყისში ჩაატარა დისკუსია: საჯარო სამსახურის რეფორმა: ცვლილებები და პერსპექტივები, ხოლო თვის განმავლობაში ორგანიზება გაუწია სამ სალექციო ბლოკ-კურსს შემდეგ თემებზე:

- არაფორმალური ეკონომიკა: დიაგნოზი და გამოსავალი
- კარგი მმართველობა საქართველოში
- საქართველოს კაპიტალის ბაზრის რეგულირება - ტრანსფორმაცია და მდგრადობა

პროექტის ფარგლებში მონაწილეების მიერ დაიწერა ხუთი სტატია:

- ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში - პრობლემები, გამოწვევები და პერსპექტივები
- ლოგისტიკური სისტემის ეფექტიანობა და საქართველო
- რა არის ინკლუზიური ზრდა?
- ბიუროკრატიის ზრდა საქართველოში
- რა აზრი აქვს პრეტენზიას?!

ღია მმართველობა საქართველო

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერა

პროექტის მიზანია საქართველოს პარლამენტის ღიაობის და გამჭვირვალობის გაზრდა და საკანონმდებლო პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა OGP-ში პარლამენტის აქტიური ჩართულობის გზით.

დეკემბრის თვეში საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციულმა და ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფებმა წლის განმავლობაში მიღწეული შედეგები შეაჯამეს, ასევე, დაიწყო საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელება.

პროექტის ფარგლებში IDFI-მ პარლამენტის ღიაობის საკითხებზე ლიგამუსში საჯარო დისკუსია გამართა და ჩაატარა კონკურსის "ღია პარლამენტი - ახალგაზრდების ხმა" მონაწილეების დაჯილდოება.

კონკურსის ფარგლებში გამოვლინდა გამარჯვებული - ნანა ბაგალიშვილი და ოთხი რჩეული იდეის ავტორი: მერაბ მელაძე, ანი ხაჩიძე, გიორგი ცეცხლაძე, თემურ იკოშვილი

სხვა აქტივობები

- IDFI-ს დირექტორის სტატია EBRD-ის სამართლებრივ ჟურნალში
- IDFI-ს შეხვედრა ღია მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით
- სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა EBRD-ის ბენეფიციარ ქვეყნებში

კოალიციური საქმიანობა

IDFI არის რამდენიმე კოალიციის წევრი ორგანიზაცია. "კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" მიზანია მიმდინარე სასამართლოს რეფორმების მონიტორინგისა და დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლოსთვის ადვოკატირების პროცესში პროფესიული იურიდიული ასოციაციების, იურიდიული უფლებების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს და პროფესიული ასოციაციების ძალისხმევის გაერთიანება.

გასული თვის მანძილზეც კოალიცია აქტიურად ეხმაურებოდა მიმდინარე მოვლენებს:

- კოალიციამ მოამზადა განცხადება მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედების შესაძლო გადაწევასთან დაკავშირებით
- კოალიციამ მოითხოვა მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის მიმდინარე პროცესის შეჩერება
- კოალიციამ მოუწოდა პოლიტიკოსებს სიფრთხილით მოეკიდონ საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე საქმეების შეფასებას
- არასამთავრობო სექტორმა მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევის პროცესის ღიაობა მოითხოვა

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

Address: 3, Griboedov Street, Tbilisi, 0108, Georgia
Contact: info@idfi.ge | 00 995 322 921514
Web: www.idfi.ge | www.opendata.ge | Research